# სარჩევი
# CONTENTS


**2** საავტორო უფლებები მსოფლიოში
ინტერვიუ კარენ ბიუზესთან
COPYRIGHT WORLDWIDE
INTERVIEW WITH MS. KAREN BUSE

**10** პორტრეტი
განოტებული ცხოვრება
THE PORTRAIT
LIFE SET TO MUSIC

**16** სუბიექტური სივრცე
ლაშა ბაქრაძე
SUBJECTIVE SPACE
LASHA BAKRADZE

**22** პრობლემატიკა
"რატომ არ უნდა მოვიპაროთ მუსიკა" - ინტერვიუ ზაზა შენგელიასთან
THE PORTRAIT
"WHY WE SHOULDN'T STEAL THE MUSIC" - INTERVIEW WITH ZAZA SHENGELIA

**26** სტუდენტური კლუბი
ნინი ძიგუაშვილი,დეა სანიკიძე, გიგა გაზდელიანი
STUDENTS' CLUB
NINI DZIGUASHVILI, DEA SANIKIDZE, GIGA GAZDELIANI

**34** გეოეარი წარმოგიდგენთ
ქართველები უცხოეთში, უცხოელები საქართველოში
GEOAIR PRESENTS
GEORGIANS ABROAD, FOREIGNERS IN GEORGIA

**52** ხელოვნების საგანძური
ფიროსმანი - თეატრალური მხატვარი
TREASURE OF ART
PIROSMAI - A THEATRE ARTIST

**56** შედევრის ისტორია
ზამთარი რომელიც ათბობს..
HISTORY OF MASTERPIECE
WINTER WHICH WARMS UP…

**60** დიზაინ თბილისი
ტესერაქტი
DESIGN TBILISI
TESSERACT

**66** ტელესკოპი
TETE NOISE - ხმები დილის სიჩუმიდან
TELESCOPE
TETE NOISE - SOUNDS FROM MORNING SILENCE

**70** სტუმარი
კობა ნაკოფია
THE GUEST
KOBA NAKOPIA


## COPYRIGHT


გამომცემელი: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია / Publisher: Georgian Copyright Association (GCA) საქართველო, 0171 თბილისი, კოსტავას ქ. 63 /63 Kostava str. 0171 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2 23 78 87 www.gca.ge contact@gca.ge ნომერზე მუშაობდნენ: სალომე არშბა, ირინე ხიზანიშვილი, ვიკა ბუკია, გიორგი კალანდია, ნანკა დოლიძე, ელისო ნადიბაიძე, თათია კუხალაშვილი, ზურაბ ბეჟაშვილი/The edition was prepared by: Salome Arshba, Irine khizanishvili, Vika Bukia, Giorgi Kalandia, Nanka Dolidze, Eliso Nadibaidze, Tatia Kukhalashvili, Zurab Bezhashvili ფოტო: მარიამ სიჭინავა/Photo By: Mariam Sitchinava გრაფიკული დიზაინი: ნუცა ნადირაძე/Graphic Design: Nutsa Nadiradze ლიტერატურული რედაქტირება: გაგა ლომიძე/Literature Editing: Gaga Lomidze თარგმანი: მიშა გევორქიანი/ Translation: Misha Gevorkyan ჟურნალი გამოდის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის" მხარდაჭერით და დაბეჭდილია მის პოლიგრაფიულ ბაზაზე/The magazine was published with the support of the National Intellectual Property Center - SAKPATENTI and was printed by its publishing house


ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება გამომცემლის ნებართვის გარეშე აკრძალულია/The use of the magazine content is forbidden without prior permission of the publisher. ყველა უფლება დაცულია © 2014/ All Rights Reserved ჟურნალი ვრცელდება უსასყიდლოდ/ The magazine is produced for non commercial purpose.


საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

geoair

PRESENTS | წარმოგიდგენთ

HTTP://GEOAIR.BLOGSPOT.DE/

# ქართველები უცხოეთში
# GEORGIANS ABROAD

გეოეარი წარმოგიდგენთ: საუბარი ხელოვანთან. თოლია ასტახიშვილს, რომელიც დილან პირსთან ერთად მუშაობს. ესაუბრა სოფო ტაბატაძე, არქიდრომის სახელით (არქიდრომი, თანამედროვე ხელოვნების არქივი)

GEOAIR PRESENTS: INTERVIEW WITH AN ARTIST TOLIA ASTAKHISHVILI, WHO WORKS WITH DYLAN PEIRCE BY SOPHIA TABATADZE ON BEHALF OF ARCHIDROME (ARCHIDROME - CONTEMPORARY ART ARCHIVE)

## “ზუსტი ტემპერატურა”

თოლია ასტახიშვილმა (დაიბადა1974 წელს, თბილისში) და დილან პირსმა (დაიბადა1977 წელს, პარიზში) 2000 წელს ერთად დაწყეს მუშაობა ლონდონში, ჩელსი კოლეჯში. 2007 წლიდან ისინი Astali/Peirce-ის სახელით მოღვაწეობენ. მათი ბოლო წლების პერსონალური გამოფენები მოეწყო დიუსელდორფში, პეტრა რინკის გალერეაში (2014); ბერლინში, გალერეა ანსელმსა (2013) და ავტოცენტრში (2012). ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ ბერლინში.

ჩემთვის თქვენი ნამუშევრები არის ფორმისა და კონცეფციის სინთეზი. ამას თუ ორ პოლუსს ვუწოდებთ, თქვენი ნამუშევრები ერთიც არის და მეორეც. თუ შეგიძლია მოყვე იმ პროცესზე, თუ როგორ იწყებთ ნამუშევარს და როგორ ავითარებთ მას. იდეიდან მიდიხართ ფორმამდე თუ პირიქით?

თვითონ ამ შეკითხვაზეა აგებული ჩვენი მუშაობის პროცესის დიდი ნაწილი. ფაქტობრივად, არც ერთი მხარეა და არც მეორე. არც იდეიდან მივდივართ ფორმამდე და არც პროცესიდან - იდეამდე. როგორ ხდება ხოლმე ეს ყველაფერი, ძალიან ძნელი ასახსნელია. ერთმანეთთან ბევრს ვლაპარაკობთ და ბევრ ცდებს ვატარებთ: ესკიზებიდან დაწყებული, სამგანზომილებიანი მოდელების აგებით დამთავრებული. მთავარია, რომ ნამუშევარს ქონდეს ზუსტი ტემპერატურა. ეს ტემპერატურა ჩემთვისაც და დილანისთვისაც ერთია, შეიძლება ერთადერთია, რაც ორივემ ზუსტად ვიცით. ნამუშევარში არ უნდა იყოს არც

## “RIGHT TEMPERATURE”

Tolia Astakhishvili (born in 1974 in Tbilisi) and Dylan Peirce (born in 1977 in Paris) began their work together in 1977 in Chelsea college of Art, London. They have been working under the name of Astali/Peirce since 2007. Their recent personal exhibitions were held at Petra Rinck Gallery, Düsseldorf (2014), Ronaldo Anselmi Gallery (2013) and in Autocenter in Berlin (2012). They live and work in Berlin.

I see your works as synthesis of form and concept. If we call it two poles, your works are both - the former and the latter. Can you speak about the process - how you begin your work and how you develop it. Do you start with the idea and develop it to the form or vice versa?

A large part of our work process is based on this question. Actually, it’s neither of them. We move neither from the idea to the form, nor from the form to the idea. I find it very difficult to explain the way it usually happens. We talk a lot and have different attempts beginning with the sketches and finishing with creating 3D models. The most important is to give the work the right temperature. This temperature is the same for both Dylan and I, perhaps the one and only thing we both know exactly. The work must avoid too obvious expression of our idea, while at the same time it must state exactly what we want to say without any exaggerations.

გადამეტებულად ცხადი ის, თუ რისი თქმა გვინდა და, ამავე დროს, ზუსტად უნდა ითქვას სათქმელი, ყველაფერი ზედმეტის გარეშე.

შეიძლება ამ ზუსტი ტემპერატურის დადგენას ელემენტების სიმრავლესთან მივყავართ. რამდენიმე ელემენტი უნდა შეიკრას, რომ რაღაც საერთო და ახალი შეიქმნას. ამ ეტაპზე ფილმზე ვმუშაობ და იქაც, მონტაჟის დროს ხდება გადაწყვეტილებების მიღება. თითქმის შეუძლებელია, ზუსტად იცოდე, იმუშავებს თუ არა წინასწარ დაგეგმილი იდეა.

თ.ა. - ინსტალაციის შემთხვევაში, ჩვენი ნამუშევარი მხოლოდ საგამოფენო სივრცეში იღებს საბოლოო ფორმას. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა დავგეგმოთ წინასწარ, მაინც საგამოფენო სივრცეში დგინდება საბოლოოდ, რა რასთან ერთად იქნება კომბინაციაში და როგორ გაერთიანდება ეს ყველაფერი მოცემულ სივრცეში. ქანდაკებასა და ორგანზომილებიან ნამუშევარს შორის კავშირი მაშინ უფრო დგება, როდესაც არცერთი არის პიედესტალზე და არც მეორე ჩარჩოში.

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომ ნამუშევრის ნახვის დროს მნახველმა თქვენი კონცეფციის შესახებ იცოდეს?

თუ ნამუშევრის ვიზუალური მხარე მის შინაარსს ბოლომდე ვერ გამოხატავს, მაშინ შესაბამის სათაურს ვარქმევთ.

მახსენდება ერთი კოლაჟი, რომელიც გავაკეთეთ წიგნიდან, სადაც ყოველ გვერდზე კლასიკურად იყო ნაჩვენები ერთი მხატვრის სხვადასხვა ქანდაკება. ჩვენ ეს ქანდაკებები ამოვჭერით, ცარიელი პიედესტალები დავასკანერეთ და შემდეგ ერთ ფურცელზე 15-ჯერ თუ 20-ჯერ ამოვბეჭდეთ. ზოგი პიედესტალი ერთმანეთს არ დაემთხვა გვერდებსა და სიმაღლეში და ერთი კრისტალი გამოვიდა. იმის მიუხედავად, რომ მნახველისთვის არ აგვიხსნია ამ ნამუშევრის გაკეთების პროცესი, ვიზუალურად ის თავის როლს მაინც ასრულებდა, როგორც საინტერესო ფორმა, რომელიც ცნობისმოყვარეობას აღძრავს.

რადგან ორნი მუშაობთ, ალბათ, მუშაობის სპეციფიკაც განსხვავებულია. შეგიძლია ამაზე ისაუბრო?

მარტო როდესაც მუშაობ, ზოგჯერ არის, რომ წინ იყურები და გვერდზე რაღაცას ხედავ, მაგრამ როგორც კი თავს მიატრიალებ, ველარ ხედავ. თითქოს, თვალის კუთხიდან დანახულივით არის რაღაც იდეა და გჭირდება, რომ ამის კრისტალიზაცია გააკეთო. ჩვენ ამ დროს ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს, რაც ამ იდეის “ამოყვანაში” გვეხმარება.

ჩვენი მუშაობა არის დიალოგი და როგორც დიალოგში, აქაც შეიძლება იყოს გაუგებრობა, თუმცა ჩვენ უკვე ჩვენი ელემენტების დიდი ლექსიკონი გვაქვს, რაც კომუნიკაციაში გვეხმარება.

ზოგჯერ ხდება, რომ ჩვენ ორნი, უბრალოდ, დროში ვცდებით ერთმანეთს. საწყისი იდეა შეიძლება ერთს ეკუთვნოდეს, რაღაც დროის შემდეგ ის მეორემ აიტაცოს და უფრო საინტერესოდ განავითაროს.

Maybe we follow numerous elements while looking for this right temperature. Several elements must interact to create something common and new. I am working on a film at this stage where many decisions have to be made while editing. It is next to impossible to exactly know beforehand if the planned idea will work or not.

In the case of installations, our work takes its final form in the exhibition hall only. Hence, whatever our plans are, it is still in the exhibition hall that we decide on the way the exhibits will be finally combined and the way they will fit in the given area. The connection between a statue and two-dimensional work is better established when the former is off the pedestal and the latter is out of frame.

Do you think it is important, if at all, for the viewer to know your conception when observing your work?

If the visual side of work does not express its idea then we give it a corresponding title.

I remember one collage we made of a book where every page classically showed different sculptures by the same sculpture. We cut these sculptures off their pedestals, scanned the empty pedestals and then printed them out on one page 15 or 20 times. Sides and sizes of some pedestals did not fit each other and we got a single crystal. Although,



“უძრავი უსათაურო” 21x29სმ. ჭავლური ბეჭდვა, გადაბეჭდილი / “Still untitled”, 21x29 cm, inkjet overprint

თქვენ ახალ კატალოგში ცალ მხარეს არის ფოტო-კოლაჟი და მეორე მხარეს ამ კოლაჟის უკანა მხარე ტექსტია, შეგიძლია ეს განმარტო?

კოლაჟებისთვის ვიყენებთ ფოტოებს, რომლებიც სხვადასხვა ჟურნალიდან და წიგნებიდანაა ამოჭრილი. ამ სურათების უკანა მხარეს ხშირად არის ტექსტი და მუშაობის დროს საინტერესო და პოეტურ წინადადებამდე მივედით - რომ ენა არის გამოსახულების უკანა მხარე "Language is the backside of the image". ჩვენს ახალ კატალოგში მარჯვენა გვერდზე მოთავსებულია კოლაჟი და მარცხენაზე  კოლაჟის უკანა მხარე. ეს უკანა მხარე არის სურათის კულისები, სადაც კოლაჟის ჭრილობები და ქირურგიული ჩარევა ჩანს. თუ კოლაჟის წინა მხარე მაინც მთლიანობას ქმნის და ჰარმონიულად გამოიყურება, იმის მიუხედავად, რომ გამოსახულების სხვადასხვა მხარე "ძალით" არის ერთმანეთთან მიწეული და გადაკერებული, უკანა მხარე ამ "ძალადობის" ფაქტს თვალსაჩინოს ხდის. ამ წიგნის დათვალიერებისას, თვალი ავტომატურად მარცხენა მხარეს მიდის, სადაც ტექსტია და გგონია, რომ უნდა წაიკითხო, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ესეც კოლაჟია, ანუ კოლაჟის უკანა მხარეა.

ამ "ძალადობას" რა მნიშვნელობა აქვს?

we did not explain the process of creating this work to the viewers, it still performed its visual role of an interesting, curiosity evoking form.

As you two work together, you must have a different specific character of work. Can you speak about it?

When you work alone, you sometimes look forward and see something by your side, but as soon as you turn your head you can see it no longer. As if you caught glimpse of some idea and you need to crystallize it. In such cases, we share ideas with each other, which help us "develop" this idea. Our work is a dialogue and just like a dialogue it can bring in some misunderstandings too. However, we already have a large vocabulary of elements, which helps our communication. Sometimes it happens that the two of us just outstrip each other in time. The initial idea may belong to one of us, however some time later the other may abstract it and develop in a more interesting way.

There is a collage on one page of your new catalogue, while the other page shows the back of the collage - a text. Can you explain it?



"სქოლიო" კატალოგი / "Footnotes" catalogue

კოლაჟში შეიძლება ადამიანის ყურის ბიბილოს გარეთა კონტური მანქანის პარპრიზის ნაწილთან შეაერთო და შუაში სარკის კონტური და ქურქის სახელო ჩაამატო. ამ ყველაფრის თავმოყრით იქმნება ახალი ობიექტი და იმის გამო, რომ ერთი გამოსახულება ვიზუალურად აგრძელებს მეორეს, იქმნება ჰარმონია. შეიძლება ჰარმონია არც იქმნება, მაგრამ იქმნება ობიექტი და მის არსებობას გარკვეული ავტორიტეტიც ენიჭება.

მაგრამ ამ ობიექტის შექმნის ერთ-ერთი ასპექტი არის ძალადობა. ნაძალადევად არის მიტანილი ჩაიდნის ყური ადამიანის ტუჩთან, რომ აბსოლუტურად სხვა ობიექტი შეიქმნას. ეს ძალადობა არ ჩანს ამ გამოსახულებაში, მაგრამ მისი ნაწილია. უკანა მხარის ჩვენებით ისიც მივიღეთ, რომ ის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ეს, რაღაც დონეზე, დემოკრატიზაციაც არის, იმ გაგებით, რომ არამნიშვნელოვანიც ხდება წამყვანი.

ამ დემოკრატიზაციამდე როგორ მიხვედით?

მაგაზე ერთმანეთთან არ შევთანხმებულვართ, ასე გამოვიდა მას მერე, რაც ბევრ ნამუშევარში აღმოვაჩინეთ ეს ტენდენცია.

კოლაჟებზე როგორ მუშაობთ და რა მასალას იყენებთ?

კოლაჟები შექმნილია არსებული ფოტოების ფონებით და კონტურებით. ფოტოში ცენტრალური ფიგურა ამოჭრილია და მისი კონტურები ერთმანეთთან არის მიწეული. ის ფაქტი, რომ მარჯვენა და მარცხენა მხარეს ერთად მოაქცევ, ჩრდილოეთს და სამხრეთს გააერთიანებ, კუმშავს და აძლიერებს ამ სურათის პოტენციალს. თუმცა შეიძლება ვინმესთვის ცენტრალური ფიგურის ამოჭრა მთავარი პოტენციალის გაქრობას ნიშნავდეს.

ბევრი მასალა გვაქვს სხვადასხვა წყაროდან. ეს შეიძლება იყოს ყოველდღიური ამბების, პოლიტიკური, სამეცნიერო, სამედიცინო და მოდის ფოტოების, ასევე თეატრის შესახებ წიგნების ნაკრები. ამ წიგნებიდან ამოჭრილი მასალით გაკეთებული გვაქვს ერთგვარი კოლექცია და ამ მასალას კარგად ვიცნობთ.

ზოგ სურათს ბევრჯერ ვიყენებთ. ეს არის გამეორება, რომელიც ზუსტად არც მეორდება, თითქოს იგივე მოვლენა ოდნავ გვერდიდანაა დანახული. ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პერსპექტივიდან და რა კონტექსტში შეხედავ ობიექტს.

წიგნების დაჭრისას არ გაქვს ძალადობის შეგრძნება?

ზოგზე კი და ზოგზე არა. საქმე ისაა, ჩვენი მასალა ამოჭრილია გადაყრილი წიგნებიდან, რაც საზოგადოებას აღარ ჭირდება. უმეტესწილად, ეს არის ნაპოვნი ან ძველმანებში ნაყიდი წიგნები.

ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ როდესაც წიგნი დახურულია, ის გამოსახულებები, რომლებიც ამ წიგნებშია, ღამე ერთმანეთში გადი-გამოდიან და დიალოგი აქვთ. ამ შემთხვევაში არ მაქვს ძალადობის გრძნობა. თეატრის ფოტოების შემთხვევაში, თითქოს სხვადასხვა პიესის ფოტოები უნდა გაერთიანდეს, რითიც რაღაც დაუწერელი პიესა გათამაშდება. მაგ დროს მგონია, რომ სხვადასხვა

In our collages we use photos which are cut out of different books and magazines. The backs of these pictures contain texts and during our work we came to an interesting and poetic sentence: “Language is the backside of the image”.

The right page of our new catalogue contains a collage, while the left page contains its backside. This backside is the backstage of the picture, which shows collage cuts and surgical interference. While the front of the collage shows unity and looks harmonious (even though different sides of the image are “forced” to fit one another), the backside makes the fact of this “violence” visible to the viewer. When looking through this book your eyes automatically run to the left side where you think there is a text to read, however, you discover the backside of the collage.

What does this “violence” mean?

A collage may join an outer contour of a human ear lobe with parts of a car dashboard and have a mirror contour and a fur coat sleeve added in the middle. By means of piling all this, you create a new object and a visual prolongation of one image into another. There may be no harmony but an object is created and its existence assumes a certain authority. However, one of the aspects of this action is violence. A kettle handle is forced to a human lip to create an absolutely new object. This violence is not visible in this image, but it is part of it. By showing the backside we managed to make it more important. At a certain level it is a democratization of elements too, as insignificant parts becomes leading figures in our work.

How did you get to this democratization?

We failed to agree on this question. It turned out to be so after we discovered this tendency in many works.

How do you work at a collage and what material do you use for it?

Collages are made of existing photo backgrounds and contours. The central figure in a photo is cut out and its contours are joined. The fact is that by bringing right and left sides together you join the south and the north which contracts and enforces the potential of the picture.  However there may be somebody for whom cutting out the central figure would mean disappearance of the main potential.
We have got a lot of materials from different sources. It can be a digest of daily news, political, scientific, medical and fashion photos as well as books on theatre. We have created kind of a pool of materials cut out of numerous books and we know this material well. We use some of the pictures many times. It is repetition which is not repeated exactly. It is as if the same phenomenon is seen a little bit from aside. The perspective and context in which the object is observed are always very important.

Don’t you have a feeling of violence when cutting books?



“ნაკერები”, შავი ДСП, პოლიესტერი, კოლაჟი, ბეტონი, გაქვავებული ხე / “Seams”, black MDF, polyester, collage, concrete, petrified wood



საათის მექანიზმი, 700 x 700 x 400 სმ, შავი ДСП, პოლიესტერი, კოლაჟი, მეტალი, პლექსიგლასი / “Clockwork” 700 x 700 x 400 cm, black MDF, polyester, collage, metal, plexiglass (detail)

გამოსახულებას შორის რაღაც დიალოგი დგება და მე, უბრალოდ, მათ ერთმანეთთან ვაკავშირებ.

იმის გამო, რომ თქვენი ნამუშევრების შესაქმნელად მასალას სხვისი ნამუშევრებიდან იყენებთ, რამდენად გაქვთ გაცნობიერებული ამ კონტექსტში საავტორო უფლებები?

რადგან ის წიგნები, რასაც ჩვენ ვიყენებთ, ხალხის თაროებიდან გადარჩეული და გადაყრილია, არ მაქვს პრობლემა, რომ დავჭრა. მეორეა ის, რომ ეს ფოტოები ყოველდღიურ ამბებს ასახავს, რომლებიც უკვე მოხდა. ეს მასალა კი, ჩემი აზრით, ყველას ეკუთვნის და, შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ ვიღაცას რაღაცას ვპარავ. ასევე ის, რომ ჩვენ მოცემული გამოსახულების ძალიან პატარა ნაწილს ვაჩვენებთ. ჩვენ კოლაჟებში არ ჩანს სხვისი ობიექტივიდან დანახული ცენტრალური სუბიექტი, რადგან სხვისი ნამუშევრის მხოლოდ რამდენიმე უჯრედს, რამდენიმე მოლეკულას ვიყენებთ.

ძირითადად, რა მასალით ქმნით ნამუშევრებს?

ხშირად ვიყენებთ ДСП-ს და მუყაოს. მუყაოს ქანდაკებები გავს ალუმინისას, შავი ДСП-სგან გაკეთებული ნამუშევრები კი შავ მეტალს. ჩვენ გვაინტერესებს ის მასალები, რომელთა ფაქტურაც სხვა მასალას გავს. ასევე, გამოგვიყენებია ბეტონი, რომელიც პოლიეთილენზე მილიმეტრიან შრეებად დავასხით. წინიდან ბეტონის ფაქტურა მძიმე მასალად აღიქმება, ხოლო როცა მას გვერდიდან შეხედავ, ჩანს, რომ ის ძალიან მსუბუქი და მსხვრევადია.

კიდევ პოლიესტერს ვიყენებთ, რადგან ამ მასალას აქვს როგორც ტექნოლოგიური, ისე ორგანული ფაქტურა. თუმცა არ მინდა, მარტო ამ მასალებით შემოვიფარგლო, რადგან მომავალში შეიძლება ბევრი სხვაც გამოვიყენოთ.

Sometimes - yes, and sometimes - no. The case is that out materials are cut out of the thrown away books the society does not need any more. Mostly these are the books we found or bought in second hand shops. Sometimes I have a feeling that when a book is closed, the images in it meet each other and have a dialogue. In this case, I do not have a feeling of violence and I believe I reveal what is performed beyond the said, and out of the focus. In case of theatre photos it is like combining photos from different plays, by means of which some unwritten play will be performed. At this time I think that different images have some dialogue and I just bring them together.

To create your works, you use other people's works, to what extent do you take copyright into consideration in this context?

As the books we use are sorted and thrown out from people's shelves, I do not have problem of cutting them. The second thing is that these photos show daily routine which has already happened. I think this material belongs to everybody and nobody and correspondingly, I do not think I steal anything from anybody.



საათის მექანიზმი, 700 x 700 x 400 სმ, შავი ДСП, პოლიესტერი, კოლაჟი, მეტალი, პლექსიგლასი /
"Clockwork" 700 x 700 x 400 cm, black MDF, polyester, collage, metal, plexiglass (detail)

We also show a tiny part of the given image. Our collages do not show central objects taken by other people's cameras as we use just a few cells, a few molecules of other people's works.

What materials do you generally use for your installations and sculptures?

We often use MDF and cardboard. Cardboard statues look like aluminum ones. Works made of black MDF look like made of black metal. We are interested in materials with the texture resembling other materials.

We also used concrete, which we pour in millimeter layers over polystyrene. The foreground looks like a massive concrete texture; while when you watch it from aside, you see that it is very light and fragile.

In addition to that we use polyester, as this material offers both technological and organic textures.

However, I do not want to restrict myself to these materials only, as we may use many others in future.



პორტრეტი: თოლია ასტახიშვილი და დილან პირსი / Portrait Tolia Astakhishvili and Dylan Peirce

# ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ
## FOREIGNERS IN GEORGIA

2014 წლის 2-12 აპრილის პერიოდში, გეოარმა მოაწყო ვორკშოპი პროექტის - „ვაკანტური ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა“ ფარგლებში. პროექტის პარტნიორები და მოწვეული სტუმრები არიან “KEK”-ი უნგრეთის თანამედროვე არქიტექტურის ცენტრი და “4AM”-ი - არქიტექტურისა და მედიის ფორუმი.

პროექტი „ვაკანტური ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა“ გახლავთ 2013 წელს წამოწყებული VAC (Vacant Central Europe) პროექტის გაგრძელება, რომელიც KEK-ი - უნგრეთის თანამედროვე არქიტექტურის ცენტრის მიერაა ინიცირებული. მისი მიზანია, ყურადღება გაამახვილოს ვაკანტური შენობების პრობლემაზე, ცარიელი შენობების რუკაზე დატანის გზით, დაგეგმარების ინსტრუმენტების მოკვლევით, არქიტექტურული მექანიზმების მოკვლევით და, ასევე, ასეთი ვაკანტური შენობების დროებითი ექსპლუატაციის გამოცდილების გაზიარებით, სტრატეგიების გაცვლით, რაც ხელს შეუწყობს მიტოვებული  და უფუნქციოდ დარჩენილი შენობებისთვის ახალი დანიშნულების და გამოყენების მინიჭებას. პროექტი ითვალისწინებს ეკონომიკური კრიზისის ნეგატიური ეფექტის და პოსტინდუსტრიული ეკონომიკის გარდაქმნას - პროექტის ერთ-ერთი მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება, სოციალური საწარმოს და სოციალური მიზნებით მოქმედ თემთა დაჯგუფებების პოვნა და ურბანული საკუთრების გამოყენება დროებითი სარგებლობისთვის. ამ ინიციატივებისთვის ადგილის მოძებნით, პროექტი ასრულებს კატალიზატორის ფუნქციას, რომელიც ორგანიზაციებს ეხმარება ითანამშრომლოს იგივე შენობაში არსებულ სხვა დანიშნულების და ფუნქციის ორგანიზაციებთან, მოხდეს სინერგია და გააფართოვონ საკუთარი შესაძლებლობები. მთავარი მიზანია ვაკანტურობასთან მიმართებაში ადგილობრივი პოლიტიკის შეცვლა. აღნიშნული ადგილების დროებით სარგებლობით, ჩვენ მიზნად ვისახავთ ამ შენობების გადარჩენას სრული განადგურებისგან, რადგანაც უმეტესობა მათგანი სარგებლობაში არაა, მიტოვებულია და არასაკმარისი დაფინანსების გამო, სახელმწიფოს არ შეუძლია ამ შენობების მოვლა-პატრონობა. არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური საწარმოების, სათემო ჯგუფებისა და ინდივიდების მიერ ამ შენობების გამოყენება მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეუწყობს ხელს. ეს კი შენობებს შესაძლებლობას მისცემს, რომ ინფრასტრუქტურის ახალი შესაძლებლობით და ახალი ფუნქციით ამოქმედდეს.

KÉK-მა (უნგრეთის თანამედროვე არქიტექტურის ცენტრი, ბუდაპეშტი) წამოიწყო და ახორციელებს რამდენიმე ღონისძიებას, კვლევით პროგრამას, პუბლიკაციების პროექტს და საერთაშორისო თანამშრომლობას. ვაკანტურობის პრობლემას KEK-ი დიდი ხანი განიხილავდა.

From 2nd to 12th of April 2014 GeoAIR initiated a workshop and interventions in the framework of the project VCEE (Vacant Central and Eastern Europe). Project partners and invited guests were KÉK - Hungarian Contemporary Architecture Centre and 4AM - Forum for Architecture and Media.

The Vacant Central and Eastern Europe project follows the project VAC (Vacant Central Europe) initiated in 2013 by KÉK - Hungarian Contemporary Architecture Centre. It aims to address the problem of vacancy by mapping empty properties, by researching planning instruments, architectural tools and by exchanging experiences and strategies of intervention that make the temporary use of empty properties and their conversion for another use possible. The project's objective is to turn the negative effects of the economic crisis and post-industrial economic restructuring into opportunities - one of the target of the project is to help NGOs, social enterprises as well as community groups with social objectives to find and access vacant urban properties for temporary use. By finding space for these initiatives, the project aims to serve as a catalyst in helping organisations cooperate with other functions and uses in the same spaces, creating synergies and unfold their capacities. The main target is to change local policies' approach to vacancy issue. Through temporary use of these spaces we aim to rescue these buildings from total destruction as many of them are out of use, abandoned and due to insufficient financial means state has no possibility to take care. Through temporary usage NGOs, social enterprises, community and individuals raise awareness and create other possibilities and functions for out of use infrastructures.

KÉK - Hungarian Contemporary Architecture Centre (Budapest, HU), have initiated and managed a variety of events, research programs, publication projects and international cooperation. The theme of vacancy has been long-term issue for KÉK, represented by LeventePolyák (curator and urban policy researcher). http://kek.org.hu/lakatlan/

4AM Forum for Architecture and Media (Brno, CZ) represents an open platform of experimental approaches and a wide range of activities related to architecture, urbanism, urban space, contemporary art, and new media. Within such an inter-disciplinary framework and with emphasis



Nyugati Grund, Budapest, HU (photo by István Keresztes)

ამ ორგანიზაციას წარმოადგენს ლევენტე პოლიაკი (კურატორი და ურბანული პოლიტიკის მკვლევარი) http://kek.org.hu/lakatlan/.

4AM Forum for Architecture and Media - 4AM არქიტექტურისა და მედიის ფორუმი (Brno, CZ) არის ექსპერიმენტული მიდგომის ღია პლატფორმა და არქიტექტურასთან, ურბანიზმთან, თანამედროვე ხელოვნებასთან და მედიასთან დაკავშირებული ფართო სპექტრის აქტივობები. თანამედროვე კულტურული და სოციალური ფენომენი და მასთან დაკავშირებული საკითხები ღია განხილვის თემაა საერთაშორისო სემინარებზე, ლექციებზე, გამოფენებზე და სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებაზე. 4AM წარმოდგენილია შარკა სვობოდოვასა და იაროსლავ სედლაკის სახით. www.forum4am.cz

4AM-ი და KÉK-ი 2013 წლის იანვრიდან პროექტ VAC-ის (ვაკანტური ცენტრალური ევროპა) პარტნიორები არიან.

on the involvement of both professionals and the general public, current cultural and social phenomena, related issues and questions are both articulated and critically observed through a variety of forms of open discussions, international workshops, lectures, exhibitions and events held in public venues. 4AM is represented by Šárka Svobodová and Jaroslav Sedlak.
www.forum4am.cz

4AM has been partner in KÉKs project VAC (Vacant Central Europe) since January 2013.

ლევენტე პოლიაკს, შარკა სვობოდოვას და იაროსლავ სედლაკს ესაუბრა ნინი ფალავანდიშვილი, გეოეარის კურატორი და პროექტის ინიციატორი საქართველოში.

რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ვაკანტური ადგილების მიმართ, როგორ დაიწყეთ მათი დატანა რუკაზე და საზოგადოების დაინტერესება?

ლევენტე პოლიაკი (KEK): ვაკანტურობასთან დაკავშირებული პრობლემა განსაკუთრებულად აქტუალურია ბუდაპეშტში, რადგანაც ეკონომიკური კრიზისის დროს, ის უფრო მეტად დაზარალდა, ვიდრე სხვა ევროპული ქალაქები. ამ ჩავარდნამ ბევრი შენობის დაცარიელება გამოიწვია და ისინი თანამედროვე მოთხოვნებს უკვე აღარ აკმაყოფილებენ. თანაც, უძრავ ქონებას არასწორად მართავდნენ კერძო მესაკუთრეები და საჯარო მფლობელები. ამან ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილის დაცლა გამოიწვია მისი პირდაპირი ფუნქციებისა და დანიშნულებისგან. 30%-ზე მეტი საოფისე ფართი ბუდაპეშტში ვაკანტურია, ამას ემატება მილიონობით კვადრატული მეტრი აუთვისებელი ფართობი, უამრავი მაღაზია, მიტოვებული საცხოვრებელი სახლები და კომერციული კომპლექსებიც კი.

2012 წლის შემოდგომაზე, KEK-მა ჩაატარა ლექციების სერია, რომელიც მოიცავდა პრეზენტაციებს არქიტექტურის, ურბანული კვლევის, დაგეგმარების, ეკონომიკური განვითარებისა და უბინაოთა უფლებების თემაზე. ამ ლექციებს მრავალრიცხოვანი აუდიტორია ესწრებოდა და ეს უკვე უფრო სერიოზული რამ იყო, ვიდრე უბრალოდ ლექციების სერია. ამ ღონისძიებების პარალელურად, შევქმენით რუკა უშაჰიდი პლატფორმის გამოყენებით და ამ პროცესში მონაწილეობისთვის ჩვეულებრივი მოქალაქეები მოვიწვიეთ. ვაკანტური ადგილების რუკაზე დასატანად კატეგორიების და ვაკანსიების პერიოდულობის განსაზღვრა დაგვჭირდა. ასე შევქმენით საკუთრებების და შენობების ვაკანტურობის პერიოდების მიხედვით აწყობილი სისტემა. ამ შენობების იდენტიფიკაციისთვის მუდმივი ინფორმაციული განახლება გვესაჭიროება. ასევე, მოქალაქეებს თავიანთი კომენტარების გაკეთების საშუალება უნდა მივცეთ და თან, საკუთრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას თავი უნდა მოვუყაროთ. რუკა წარმატებული აღმოჩნდა და ცარიელი საკუთრების საკითხი უფრო სააშკარაოზე გამოიტანა: ეს ინფორმაცია ტელე და რადიოეთერით გადაიცა, ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა, რეპორტაჟებისა და ინტერვიუების სახით გავრცელდა. ამ ინტერესიდან გამომდინარე, უამრავმა ადამიანმა აღმოაჩინა ჩვენი ვებგვერდი და რუკა და, ერთსა და იმავე დროს, როგორც მხარდაჭერა ასევე დაეჭვება გამოხატეს. გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა ინიციატივა და ჩამოგვეყალიბებინა სტრუქტურა დისკუსიებით, მესაკუთრეებისთვის და მოსარგებლეებისთვის კი გადაჭრის გზები შეგვეთავაზებინა.

4AM: 4AM-ს საქმიანობების ფართო სპექტრი გააჩნია. თუმცაღა, ჩვენი მუშაობის ფარგლებში, ვაკანტურ და აუთვისებელ ფართებზე ვართ ფოკუსირებული. ჩვენი ერთ-ერთი პირველი გამოფენა, სახელწოდებით "მეამბოხე ხალხი, ხელოვნება და თავისუფლება. ევროპა 1943-97წელი, საგამოფენო დარბაზში და საბჭოურ ტექსტილის ფაბრიკაში ჩატარდა. აქ ფაბრიკის კადრების განყოფილების არქივი

interviews with levante Poliak, Sarka Svobodova and Iaroslav Sedlak were taken by Nini Palavandishvili, GeoAir Curator and project initiator in Georgia.

What triggered your interest in vacant spaces and how did this initiative of mapping and activating society started?

Levente Polyak (KÉK): To deal with the problem of vacancy is particularly relevant in Budapest, as the city has suffered more from the economic crises than many other European cities. The recession, combined with many building types becoming obsolete and no longer able to respond to contemporary needs, as well as with the mismanagement of real estate properties owned by private as well as public owners, has emptied a significant proportion of the city from its previous functions and use. Over 30% of office spaces are vacant in Budapest alone, adding up to an estimated million square meters of wasted space, not to mention the countless empty storefronts, abandoned residential buildings and even commercial complexes.

In the fall of 2012, KÉK launched a lecture series with a variety of presentations from the fields of architecture, urban research, planning, economic development and homeless rights. This series gathered a solid audience and we started suspecting that it would be more than a simple lecture series. In parallel to the events, we developed a crowdmap using an Ushahidi platform, inviting citizens to participate in the mapping process. To map vacancy, we needed to define categories and temporalities vacancy, to create a system that is organized according to the type of property as well as to the period during which the property has been vacant. For identifying the properties, we needed to keep the editing process open, enabling users to comment on each other's entries and to accumulate information concerning any property. The map was a success and gave more visibility to the question of empty properties: it was featured in TV and radio news, national printed media, in forms of reports and interviews. Due to this interest, a lot of people found our website and map, and expressed support or doubt. Building on this interest, we decided to go on with the initiative and establish a structure that can further move forward the discussion and offer solutions to both property owners and prospective users.

4AM: The 4AM collective has a wide range of activities. However in frame of our work we are also focused on the issue of vacant and unused spaces. One of our first exhibitions called "People in Revolt. Art and Liberation. Europe 1943-67" took place in the exhibition area and in parallel in a former textile factory. There we found the archive of the promotion department in the factory and we exposed it in-situ. This event was associated with a discussion of the heritage protection of certain parts of the factory site and as well as discussion with the owner about the historical and architectural value of some buildings there. The private owner offered us a space for exhibition for free in duration of two months.This is just one example. A new dimension to this question of vacant spaces came when we had to leave our seat in the city center and we were looking for financially accessible place for our activities. We gained space in the former cargo railway station close to the city center. Due to its location in undeveloped area (caused by land speculation




ვაკანტური ცენტრალური ევროპის რუკა/Vacant Central Europe Map

ალმოვაჩინეთ და ადგილზე გამოვფინეთ. ეს ღონისძიება ქარხნის ტერიტორიის მემკვიდრეობის დაცვის და შენობის მფლობელთან ადგილის ისტორიული და არქიტექტურული ღირებულების განხილვასთან იყო დაკავშირებული. კერძო მფლობელმა აქ საგამოფენო ადგილი ორი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ შემოგვთავაზა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. ამ ვაკანტური ადგილების საკითხის ახალი განზომილებაა, როდესაც ქალაქის ცენტრში ადგილი დავცალეთ და ვცდილობდით ფართი გვეპოვნა ფინანსურად უფრო ხელსაყრელი პირობებით. ვნახეთ ფართობი - ქალაქის ცენტრში ძველი სატვირთო რკინიგზის სადგურის შენობა. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, განუვითარებელი ინფრასტრუქტურის პირობებში (სამომავლო განვითარების გეგმა დაკავშირებული იყო მიწის გაყიდვებთან), ეს ფართობი ჩვენთვის საკმაოდ ხელსაყრელი იყო. გაჩნდა ახალი ინიციატივა და ვაკანტური და უსარგებლო ადგილიდან კულტურული დანიშნულების მქონე ადგილი დავაარსეთ, ხელოვნების, არქიტექტურული სტუდიების, მუსიკოსების სარეპეტიციო და ორიგინალური გალერეების მოსაწყობად. შესაბამისად, KEK-თან თანამშრომლობით, რომელმაც ბუდაპეშტში საერთაშორისო თანამშრომლობისთვის მოგვიწვია, ამ საკითხის V4 (Visegrád Group, ასევე Visegrád Four, V4, ანუ European Quartet, რომელიც ალიანსშია ცენტრალური ევროპის 4 ქვეყანასთან: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) ქვეყნების კონტექსტში განხილვა დავიწყეთ.

